Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179, Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნეშენალის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზ. 34, თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

№ 3/4
12.01.22

რწმუნებულება

ამ რწმუნებულებით, **შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, მინდობილი პირის მიხეილ ესიაშვილის მიერ [შემდგომ: მარწმუნებელი] ანიჭებს უფლებამოსილებას მის თანამშრომელს [არქიტექტორი],

კახაბერ შარვაძეს, პირადი ნომერი: 41001001312,

როგორც მარწმუნებლის ნამდვილ, კანონიერ რწმუნებულს [შემდგომში: რწმუნებული], მარწმუნებლის სახელითა და სასარგებლოდ, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი შემდეგი ქმედება:

წარმოადგინოს მარწმუნებელი სსიპ ქალაქ თბილისის მუნი-ციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარე-ბის სააგენტოსთან (სააგენტო) ურთიერთობაში, სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხთან დაკავშირებით:

ხელი მოაწეროს, სააგენტოში წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს განცხადებები, ცნობები და ყველა და ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი, როგორც რწმუნებული ჩათვლის საჭიროდ და აუცილებლად;

გადაიხადოს სააგენტოს მომსახურებებისათვის დადგენილი საფასურები და შეასრულოს ყველა სხვა საჭირო გადახდა;

არავინაა უფლებამოსილი, ეჭვის ქვეშ დააყენოს რწმუნებუ-ლის ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამო-სილებები და მოითხოვოს უფლებამოსილების დამადას-ტურებელი დამატებითი დოკუმენტის წარდგენა იმის გამო, რომ ეს რწმუნებულება არ შეიცავს რწმუნებულის უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს.

რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა სხვა ისეთი ქმედება, რაც პირდაპირ მითითებული არ არის ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებების / ინტერესების დასაცავად.

ეს რწმუნებულება ძალაშია მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით.

დირექტორის მინდობილი პირი

მიხეილ ესიაშვილი [პნ: 01010005030]

SUN PETROLEUM GEORGIA 404391136

რწმუნებულება

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია, ს.ნ. 404391136, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ბ-ნ ქრეიგ სთივენ ქრამერის** (ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, პასპორტის #539806625; საქართველოს დროებითი ბინადრობის მოწმობის მფლობელი, პ.ნ. 01791047449) სახით [შემდგომში: მარწმუნებელი ან საზოგადოება], წინამდებარე რწმუნებულებით, **ბ-ნ მიხეილი ესიაშვილს**, პირადი ნომერი: 01010005030 [შემდგომში: რწმუნებული] ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული:

1. იცავს **მარწმუნებლის** ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით მას წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საგამოძიებო ორგანოში, შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, სააღსრულებო სამსახურებთან, საარბიტრაჟო სასამართლოსთან (სამსახურთან), ამასთან ერთად, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, პროკურატურაში, შსს მომსახურების სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობებში), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, ნოტარიუსთან, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში;
2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად **რწმუნებული** უფლებამოსილია **მარწმუნებლის** სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მისი სახელით შეიტანოს სასარჩელო განცხადება სასამართლოში, პროკურატურაში და საგამოძიებო ორგანოში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს და მიიღოს (დაიბრუნოს) სახელმწიფო ბაჟი. გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. დაამთავროს საქმე მორიგებით. ცნოს სარჩელი;
3. ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით, კერძოდ, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში. სააღსრულებო ფურცლის აღსრულებამდე, შეიტანოს სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროში, საქმე დაამთავროს მორიგებით, გაიხმოს სააღსრულებო ფურცელი ან უარი თქვას სააღსრულებო წარმოებაზე, ასევე ისარგებლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებებით და განახორციელოს მისი სრული წარმომადგენლობა.
4. **რწმუნებული** უფლებამოსილია წარმოადგინოს **მარწმუნებელი** საქართველოში არსებულ და მოქმედ ნებისმიერ ბანკში, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, სს „თიბისი ბანკსა“ და სს „საქართველოს ბანკს“; მართოს და განკარგოს მარწმუნებლის ყველა ფინანსური აქტივი (მათ შორის და არა მხოლოდ, ფულადი სახსრები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და სხვა), რომელიც არსებობს საქართველოს ბანკებში, მათ შორის და არა მხოლო, სს „საქართველოს ბანკში“ ან/და სს „თიბისი ბანკში“ [შემდგომში: „ბანკი“ ან „ბანკები“]; აღნიშნული უფლებამოსილებები მოიცავს რწმუნებულის შემდეგ უფლებებს:

გახსნას, მართოს, განკარგოს და დახუროს ნებისმიერი ტიპის (მათ შორის, საბანკო დეპოზიტები) საბანკო ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში, გამოიტანოს თანხა ანგარიშიდან, შეიტანოს თანხა ანგარიშზე (ნებისმიერ ვალუტაში), შეასრულოს ნებისმიერი და ყველა საბანკო ტრანზაქცია (ოპერაცია) მარწმუნებლის ანგარიშიდან (მათ შორის, მომავალში გახსნილი ანგარიშებიდან), შეიტანოს/შეინახოს თანხები ან ფასიანი ქაღალდები მარწმუნებლის ანგარიშებზე, განკარგოს ამგვარ ანგარიშებზე არსებული ფული ან ფასიანი ქაღალდები, გააბაღდოს ფული, გადარიცხოს თანხები ანგარიშებიდან, განახორციელოს ვალუტის კონვერტაცია, მოქმედების ვადის გასვლამდე შეწყვიტოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებები, გააგრძელოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, ვადაგასული სადეპოზიტო (ანაბრის) ანგარიშებიდან გამოიტანოს თანხა, გადარიცხოს აღნიშნული თანხები ნებისმიერი მიმართულებით და ნებისმიერი ქვეყნის ფინანსურ დაწესებულებაში, გააფორმოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებები და ნებისმიერი სხვა საჭირო დოკუმენტაცია ბანკში, დაამყაროს საკრედიტო ურთიერთობა ბანკებთან, ისესხოს ფინანსური სახსრები და იპოთეკით/გირავნობით დატვირთოს მარწმუნებლის აქტივები (მათ შორის, ნებისმიერი საბანკო ანგარიში), როგორც სესხის უზრუნველყოფის საშუალება, დაამზადებინოს, განაახლოს და

CRAIG STEVEN KRAMER

მიიღოს ბანკის ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათი (მათ შორის, საკრედიტო ან სადებეტო ბარათი), გასცეს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია (მათ შორის, ცნობები, ამონაწერები, თანხმობები და სხვა), დაარეგისტრიროს, მართოს, გამოიყენოს, შეცვალოს და/ან შეწყვიტოს ნებისმიერი საბანკო პროდუქტი/მომსახურება, ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტის/მომსახურების ხელშეკრულებებს, გააქტიუროს და გამოიყენოს ინტერნეტ-ბანკი და ისარგებლოს სხვა დისტანციური სერვისებით; ასევე, მიიღოს დიჯიპასი მარწმუნებლის ზემოთ ხსენებული საბანკო ანგარიშ(ებ)ის სამართავად/სარგებლობისთვის.

მარწმუნებლის სახელით იქონიოს ბანკებთან ნებისმიერი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობა, განახორციელოს ყველა ქმედება, რომელიც რწმუნებლის აზრით საჭიროა ანდა სავალდებულოა მარწმუნებლის უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხელშეკრულებებზე ხელის მოწერას, გარანტიას, იპოთეკას, გაყიდვასა და ყიდვას, გირავნობას, ოვერდრაფტს, საკრედიტო პროდუქტის მომსახურებას, საკრედიტო გარანტიის ნებისმიერ წერილს (საბანკო გარანტია, ან მუდმივი გადახდის საკრედიტო წერილი), საკრედიტო ბარათს და ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს და ცვლილებებს, შეავსოს და/ან ხელი მოაწეროს განცხადებებს, სხვა დოკუმენტებს, შეავსოს ან/და ხელი მოაწეროს შესაბამისი ხელმოწერის ფორმებს, მარწმუნებლის ნებისმიერი აქტივი დატვირთოს გირავნობით/იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ, შეიტანოს ცვლილება, განაახლოს, ან შეწყვიტოს ხელშეკრულებები, ასევე მიიღოს ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი დოკუმენტი და ცნობა და საჭიროების შემთხვევაში დაარეგისტრიროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უფლებები/შეზღუდვები.

5. **რწმუნებული** იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული გადასახადების გადახდასთან, დეკლარაციის შევსებასთან, გადამხდელად აღრიცხვასთან, სალარო აპარატის აღებასთან; ასევე მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული **საზოგადოების** მართვასთან.

6. **რწმუნებული** იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში და დადოს ნებისმიერი სახის გარიგება ნებისმიერი პირობით, მათ შორის, გააფორმოს, შეიტანოს ცვლილებები და გააუქმოს გარიგებები, შეასრულოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რაც იქნება დაკავშირებული **საზოგადოების** საქმიანობასთან.

7. იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი ქ. თბილისის, ქ. ფოთისა და ქ. ბათუმის ტერმინალებზე, მიიღოს **საზოგადოების** სახელზე შემოსული ნებისმიერი ტვირთი და კონტეინერი და მოახდინოს მისი ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, გააგზავნოს ტვირთი, მოახდინოს იმპორტი და ექსპორტი, მოაწეროს ხელი, ამასთან შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებისათვის. ასევე განახორციელოს ფინანსური ოპერაციები (დღგ)-ს ჩათვლით. ტვირთის მიღების შემდეგ განკარგოს აღნიშნული მოძრავი ქონება.

8. **რწმუნებული** იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის, ზედამხედველობის და ნებართვების სამსახურში ან/და სხვა მუნიციპალიტეტებში, რათა **საზოგადოების** სახელით აწარმოოს საქმეები პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს კორექტირებული პროექტი და ხელზე მიიღოს დამტკიცებული პროექტი, წარმომადგინოს როგორც მესაკუთრე და დაიცვას ჩემი ინტერესები, ყველა იმ პირობებით, რაც მინიჭებული აქვს მესაკუთრეს. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან.

9. **რწმუნებული** უფლებამოსილია წარმოადგინოს **მარწმუნებლის** ინტერესები კომუნალური მომსახურების გამწევ ნებისმიერ კომპანიასთან ურთიერთობაში და შეასრულოს ყველა ქმედება, რაც საჭირო გახდება **საზოგადოების** კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების გამრიცხველიანებასთან, კომუნალური მომსახურებების ღირებულებების გადასახდელად და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

10. **რწმუნებული** უფლებამოსილია შეიძინოს ნებისმიერი მოძრავი ქონება, მათ შორის ავტომანქანები, მოაწეროს ხელი შესაბამის ხელშეკრულებებს ნებისმიერი პირობებით და დაარეგისტრიროს **საზოგადოების** სახელზე.

11. რწმუნებული უფლებამოსილია იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში და შეიძინოს (იყიდოს, იჩუქოს, გადაიფორმოს თავის თავზე) **საზოგადოების** სახელით ნებისმიერი უძრავი ქონება, ამის შესაბამისად, დადოს წასყიდობის და/ან ჩუქების ხელშეკრულება ნებისმიერ მესამე პირთან (მათ შორის, თავის თავთან) და თავის

CRAIG STEVEN KRAMER

შეხედულებისამებრ განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები და დაარეგისტრიროს საზოგადოების სახელზე საჯარო რეესტრში, გადაიხადოს თანხა.

12. **რწმუნებული** იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული **საზოგადოების** საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების გაყიდვასთან (მათ შორის, გადახდის განვადებით), ამის შესაბამისად, დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება **საზოგადოების** საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით: გაყიდოს, დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება (მათ შორის, გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება), და თავის შეხედულებისამებრ განსაზღვროს პირობები და მიიღოს ნასყიდობის თანხა, უძრავი ქონებიდან მოხსნას ვალდებულება საჯარო რეესტრში.

13. **რწმუნებული** უფლებამოსილია **მარწმუნებლის** სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, დარეგისტრირდეს (დადგეს) გადამხდელად შემოსავლების სამსახურში, გადაიხადოს გადასახადები, გამოიყენოს **საზოგადოების** ბეჭედი, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

14. არავინაა უფლებამოსილი, ეჭვის ქვეშ დააყენოს რწმუნებულის ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და მოითხოვოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტის წარდგენა იმის გამო, რომ ეს რწმუნებულება არ შეიცავს რწმუნებულის უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს.

რწმუნებული უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს მესამე პირებს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებები.

რწმუნებულება ძალაშია 1 (ერთი) წლის ვადით.

ხელმოწერა: CRAIG STEVEN KRAMER

თარჯიმანი: [illegible]

Power of Attorney

San Petroleum Georgia LLC, I/N 404391136, represented by its Director, **Mr. Craig Steven Kramer** [Citizen of the United States of America, Passport # 539806625; holder of the Temporary Residence Card of Georgia, with Personal No. 01791047449] [hereinafter: Principal or Company], hereby assigns **Mr. Mikheil Esiashvili**, personal number: 01010005030 [hereinafter: Trustee] the following authorization:

Trustee:

1. Defends the property and non-property interests of the **Principal**, in all court authorities of Georgia, investigating authorities, in order to implement any relevant criminal, civil and/or administrative cases, Enforcement bureaus, arbitral court (service), including at any state and non-state Institutions of Georgia, any Ministries, registration authorities, any archive, notary chamber, Ministry of Finance of Georgia, Revenue Service, Property Management Service, governmental and non-governmental Institutions, Public Service Hall, before physical and legal entities and other organizations-Institutions.
2. For implementation of this power of attorney the **Trustee** is authorized to exercise on behalf of the **Principal** any and all necessary actions and procedures set forth in the legislation of Georgia, on behalf of Principal bring the statement of claim in Court and any competent bodies, pay state duty, obtain state duty, get informed with the case materials, obtain extracts from those materials, make copies, make rejection, present evidences, take part in investigation of evidences, question witnesses, experts, specialists, make petitions before Court, give oral and written explanations before Court, present his conclusions and express his opinions concerning to any and all issues born during examination, reject the appeal fully or partially, change the subject and/or basis of appeal, increase or reduce the volume of appeal demand, appeal any act of Court, represent statement of claim or cassation suit, complete the proceeding with agreement, acknowledge a suit.
3. Submit writ of execution and take part in execution actions according to Article 98 of the Civil Code. Before executing of writ of execution, to submit the writ of execution to the Executive Bureau, complete the proceeding with agreement, lead to the execution or reject the Executive production, receive the amount or property due to him for further transferring to the company furthermore, benefit from any other rights conferred under Civil procedure Code and exercise the full representative power of Principal.
4. The **Trustee** is authorized to represent the Principal in any bank existing and operating in Georgia, including, but not limited to, JSC TBC Bank and JSC Bank of Georgia; Manage and dispose of all financial assets of the Principal (including but not limited to cash, bonds, securities, etc.), that exist in Georgian banks, including, but not limited to, JSC Bank of Georgia and / or JSC TBC Bank [Hereinafter referred to as "the Bank" or "the Banks"); These powers include the following rights of the Principal:

Open, manage, dispose of and close any type (including bank deposits) of any bank account, withdraw money from the account, deposit money (in any currency), execute any and all bank transactions (transactions) from the Principal's account (including any future accounts), deposit / save funds or securities on Pirncipal's accounts, dispose of such accounts and money or securities on it, to withdraw money, transfer funds from the accounts, exchange the currency, to terminate the deposit agreements before expiration, to extend the deposit validity agreements, withdraw money from overdue deposit accounts, transfer these funds to any direction and financial institution of any country, enter into deposit (deposit) agreements and any other required documentation with the bank, establish credit relationships with banks, borrow funds and mortgage / pledge the Principal's assets (including any bank account) as a loan facility to prepare, renew and receive any type of bank card (including credit or debit card), issue and receive any type of information (including references, extracts, consents, etc.), register, manage, use, modify and / or terminate any banking product / service, sign bank product / service agreements, activate and use an Internet Bank and access other remote services; Also, take Digipass to manage / use the Principal's bank account(s) mentioned above.

CRAIG STEVEN KRAMER

On behalf of Principal, to have any legal relationship with banks, perform any actions that the Trustee deems necessary or mandatory for the proper exercise of the rights of the Principal, including, but not limited to, Contracts, Guarantees, Mortgages, Sales & Purchases, Pledges, Overdrafts, Credit Product Services, Any Letter of Credit Guarantee (Bank Guarantee or Permanent Letter of Credit), Credit Card andany other type of agreements / contracts and amendments, supplement and / or sign statements, other documents, fill and / or sign relevant forms of registration, pledge any mortgagee's assets in favor of the Bank / Mortgage, amend, renew, or terminate contracts, also receive any documents and references in this regard and, if necessary, register rights / restrictions with the LEPL National Agency of Public Registry.

5. **Trustee** is authorized to be representative of the **Principal** in Revenue Service of Ministry of Finance of Georgia, resolve all issues in connection with paying taxes, fill in the declaration, register me as a tax bearer, receive cash register, also exercise all actions, related with the management of **company**.

6. To be the representative of **Principal** in relations with third parties and enter into any transaction under any conditions, including, to conclude, modify and cancel transactions, and to perform any other activity that is related to the activities of the **company**.

7. Trustee is authorized to be representative of the company on the terminal of Tbilisi, Poti and Batumi, receive the goods (load) sent on the name of company and perform its transportation to the place of demand, sing and implement any other actions which are related with the task. Also perform finance operations including VAT. After receiving goods (load), to dispose mentioned movable property.

8. **Trustee** to be **Principal's** representative at Tbilisi city hall, architecture, supervision and permitting work and / or other municipalities, to handle project correction on behalf of the Company, request, submit and receive information, documentation and references, negotiate, make decisions, submit an amended project, and accept approved projects, represent me as the owner, and defend my interests, under all the conditions given to the owner. Pay all necessary taxes and fees, sign all necessary documentation and perform all actions related to the above task.

9. The Trustee is authorized to represent the Principal's interests in relations with any company utility service providers and perform all the actions that will be required for subscription for counters of any real estate owned by the Company, to pay for utility services and to resolve all issues related to the performance of this task.

10. The Trustee is entitled to purchase any movable property, including vehicles, to sign relevant agreements under any conditions and to register it on company's name.

11. **Trustee** is authorized to be my **Principal's** representative at notary bureau, before physical and legal entities and any other Organizations-Institutions and purchase (buy, receive in a gift, register on his name) on behalf of company Real Estate, accordingly enter into purchase and/or gift contract with any third person (including himself) and determine sum, period and other conditions with his own discretion, register on Company's name in Public Registry, pay taxes.

12. **Trustee** is authorized to be my **Principal's** representative and settle all the issues, which will be connected to the Company owned any real estate sale and purchase (including payment in installments), accordingly, enter into any transaction permitted by law with respect to the sale of any Company owned real estate: to sell, to enter

CRAIG STEVEN KRAMER

into a contract of sale (including payment in installments), and in its sole discretion, to determine the conditions and to obtain the money from the sale, to remove obligation from the immovable property in the public register.

13. The Trustee is authorized to file applications, submit, request and receive all necessary certificates, documents and references, register as a taxpayer at the Revenue Service, pay taxes, use the Company seal, sign all required documents and perform all actions related to the performance of the task.

14. Nobody is entitled to doubt the rights and authorizations of the Trustee given under this Power of Attorney and request the submission of an additional document proving that the credential does not contain an exhaustive list of the creditor's rights.
The Trustee is entitled to transfer to third parties, in whole or in part, the rights conferred by this power of attorney.

Power of Attorney is valid for 1 (one) year.

Signature: CRAIG STEVEN KRAMER

Translator:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210240875
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.03.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის [illegible]
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24531250851321

საქართველო
ორი ათას ოცდაერთი წლის თვრამეტ მარტს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1-ში მომმართეს ქრეიგ სთივენ ქრამერიმ და მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ, რომელთაც განაცხადეს, რომ სურთ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) რწმუნებულებაზე. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად მომმართეს: ქრეიგ სთივენ ქრამერიმ (ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე; დაბადების თარიღი: 10.06.1960 წელი; გაცხადებული მისამართი: 615 ოქბორნ ვეი ვუდსტოკ, GA 30188, ჯორჯია, აშშ, პასპორტის ნომერი: 539806625; გაც.: 02.02.2016, ძალაშია: 01.02.2026) და მთარგმნელმა თორნიკე პარხომენკომ (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 11IC00354, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). აღნიშნული მომენტისთვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირებს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და დაადასტურეს, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. ქრეიგ სთივენ ქრამერის თხოვნით, რწმუნებულების ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად 72.0 (სამოცდათორმეტი) ლარი, დღგ 12.96 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 86.96 (ოთხმოცდაექვსი და 96) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18